თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 14 მარტის სხდომის

**ო ქ მ ი N 2**

2025 წლის 14 მარტს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო მინდაძე, ხათუნა იოსელიანი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1). ასევე: დავით ჭითანავა, სოფიო ქადაგიშვილი, ზაზა ქარჩავა, ირინა არაბიძე, ზურაბ თარგამაძე, ირმა კვაშილავა, ნიკოლოზ გურგენიძე და ისტორიის პედაგოგთა საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მანანა შეყილაძე ხმის უფლების გარეშე.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

**ისტორიის სწავლების ახალი სტანდარტის განხილვა** (დანართი 2)

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

**მოისმინეს:**

***ისტორიის სწავლების ახალი სტანდარტის განხილვა.***

**ლავრენტი ჯანიაშვილი**: ისტორიის პედაგოგთა საქართველოს ასოციაციამ ინსტიტუტში განსახილველად წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული საჯარო სკოლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ისტორიის სწავლების სტანდარტები, კერძოდ: 1. საგანი - „ჩვენი საქართველო“ და 2. საგანი - „საქართველოს და მსოფლიოს ისტორია.“ სკოლებში ისტორიის სწავლების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის და ზოგადად, ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს, ქ-ნ მანანა შეყილაძეს ვთხოვთ, მოკლედ მიმოიხილოს წარმოდგენილი სტანდარტის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასოციაციის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თქვენც გთხოვთ, გამოთქვათ შენიშვნები და წინადადებები.

**მანანა შეყილაძე:** ისტორიის სწავლების სტანდარტის წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავენ როგორც კონცეპტუალურ, ისე შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ ხარვეზებს; არ არის გაწერილი, რომელ კლასში რა მასალა ისწავლება; რამდენი საათი აქვს დათმობილი მთლიანად საგანს და სტანდარტის მიხედვით გაწერილ კონკრეტულ თავს; მკაცრად უნდა განისაზღვროს შესასწავლი მასალის თანმიმდევრობა; დოკუმენტებში გვხვდება ქრონოლოგიური და ფაქტობრივი უზუსტობები, ტერმინების არასწორი ფორმულირება, საკამათოა დებულებები; ბუნდოვანი და არათანაბარია შესასწავლ თემებში შეტანილი მასალის მოცულობა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ნიკოლოზ გურგენიძემ, დავით ჭითანავამ და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები: წარმოდგენილი სტანდარტის მიხედვით, ისტორიის საკითხები ისეა შერჩეული, რომ თემის შესწავლისას წარმოჩენილია საქართველოს ადგილი და მნიშვნელობა ამა თუ იმ პერიოდში. თუმცა, სათანადო ყურადღების მიღმა რჩება თანადროულ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი მოვლენები; აუცილებელია თემატიკის გამდიდრება მსოფლიოს ისტორიის იმ კარდინალური საკითხებით (სათანადო პროპორციით), რომელთაც განაპირობეს ეპოქის ძირითადი მახასიათებლები; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კავკასიასა და მიმდებარე ქვეყნებში განვითარებულ ისტორიულ პროცესებს; პოლიტიკურთან ერთად, სათანადოდ უნდა იყოს წარმოჩენილი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორია; თითოეულ თემაში გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო ისტორიის ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა იქონიეს აღნიშნულ ეპოქაზე; სწავლის შედეგების ინდიკატორები სასურველია დაეფუძნოს არა სამიზნე ცნებების ანალიზს, არამედ მასალის შინაარსობრივი მახასიათებლების ცოდნას; წარმოდგენილ სტანდარტებში მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ სწავლა-სწავლების უმთავრესი მიზანია სათანადო ცოდნის მიღება; სასურველია, მათში გამოიყენებოდეს ისეთი ტერმინები (მაგალითად, სამშობლო, ეროვნული სახელმწიფო, საქართველოს ისტორიული საზღვრები და სხვა), რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების განტკიცებას და პატრიოტი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

**ერთხმად დაადგინეს:** განხილული სტანდარტები მოითხოვს არსებით გადამუშავებას და ინსტიტუტი მზად არის ჩაერთოს ამ პროცესში. სამეცნიერო საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები ისტორიის სწავლების ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით, შემუშავებული იქნას დოკუმენტის სახით, გაეგზავნოს თსუ-ს რექტორს და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს.

**სხდომამ დაადგინა:**

სამეცნიერო საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები ისტორიის სწავლების ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით, შემუშავებული იქნას დოკუმენტის სახით და გაეგზავნოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

14. 03. 2025

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 7 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

## საგანი - ჩვენი საქართველო

### სწავლა-სწავლების მიზნები

საგნის "ჩვენი საქართველო" სწავლა-სწავლების მიზანია:

- ადამიანის წარმოჩენა მთავარ ღირებულებად;
- პატრიოტი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც აქვს მზრუნველი დამოკიდებულება/პასუხისმგებლობა საკუთარი პიროვნების, ოჯახის, თემის, ქვეყნის *(საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ბუნებრივი გარემოს დაცვა, ეროვნული სიმბოლიკის, ინსტიტუციები, ეროვნული დღესასწაულების პატივისცემა)* მიმართ;
- ბუნებათსარგებლობის რაციონალური ათვისებისა და მეწარმეობის უნარის განვითარება;
- საქართველოს მხარეებთან დაკავშირებული ისტორიული ეპიზოდებისა და თქმულებების, ბუნებისა და ეთნოგრაფიული ტრადიციების, სოციალური პრობლემების შესწავლის გზით ეროვნული (სახელმწიფო ენისა და კულტურის პატივისცემა) და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების (თანასწორობა, ემპათია, ეთიკა) ჩამოყალიბება.

DRAFT

ა) **სწავლის შედეგები - დაწყებითი საფეხური V-VI კლასები** :

საგნის „ჩვენი საქართველო“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების **„დრო“, "სივრცე", "მეურნეობა", "საზოგადოება", "მრავალფეროვნება", „სახელმწიფო"** ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია.

| **სწავლის შედეგი** | **შეფასების კომპეტენციები -**<br>მოსწავლეს შეუძლია: | **სამიზნე ცნების მოცულობა –**<br>მოსწავლე აცნობიერებს რომ: |
|---|---|---|
| (1) ისტორიული მოვლენების მნიშვნელობაზე მსჯელობა ქვეყნის ისტორიის *(გმირები, საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო ეპიზოდები, ფოლკლორში ასახული ისტორიული მეხსიერება)* მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად | ➢ ისტორიული მოვლენების/ მითების /ლეგენდების / თქმულებების ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან *(მაგალითად, სამშობლოსთვის თავდადებას, ნოსტალგიას სამშობლოს მიმართ)* **დაკავშირება;**<br>➢ ისტორიული მოვლენების *(მაგალითად, გრძოლები, ისტორიული პირების მოღვაწეობა)* ერთმანეთთან **შედარება** - შედარებისთვის კრიტერიუმების გამოკვეთა/შერჩევა;<br>➢ შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/მითის/ლეგენდის/თქმულების პოპულარობის განმაპირობებელი მიზეზების **ახსნა**; თანამედროვე საზოგადოებისთვის მათი მნიშვნელობის **შეფასება**;<br>➢ საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების **დასაბუთება** შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ პირთან/მოვლენასთან/მითთან/ლეგენდასთან/თქმულებასთან დაკავშირებით;<br>➢ **გამოთქვას ვარაუდი** - რა ვითარებაში და რატომ ჩამოყალიბდა/შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ესა თუ ის მითი/ლეგენდა/თქმულება. | <u>სამიზნე ცნება **"დრო"**</u> - ცვლილება ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ადამიანების ყოფა თანამედროვეობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, თუმცა, ზოგიერთი ღირებულება/ფასეულობა *(მაგალითად, ქვეყნის სიყვარული)* თანაბრად მნიშვნელოვანი იყო როგორც წარსულში და ისე თანამედროვე ეტაპზე მცხოვრები ადამიანებისთვის.<br><br>ცვლილებებს იწვევს ისტორიული მოვლენების *(მაგალითად, აღმშენებლობა, რეფორმა, ტექნოლოგიების განვითარება, გრძოლა, აჯანყება)* მონაცვლეობა. მათ შესახებ ისტორიული წყაროები *(მაგალითად, ლეგენდები, მითები, მატიანეები, ისტორიულ ძეგლები)* მოგვითხრობს.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია *(სამიზნე ცნებები: ისტორიული წყარო, დრო, ისტორიული მოვლენა/პროცესი),* გეოგრაფია (სამიზნე სამიზნე ცნება-მოსახლეობა), მოქალაქეობა (სამიზნე ცნება-საზოგადოება). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (2) საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების თავისებურებზე მსჯელობა ბუნებრივი გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად | ➢ საქართველოს მხარეების/ტერიტორიული ერთეულისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი გარემოს, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების თავისებურებებთან *(მაგ: განსახლების ფორმებს)* **დაკავშირება;**<br>➢ საქართველოს მხარეების/ ტერიტორიული ერთეულების ბუნებრივი გარემოს ერთმანეთთან **შედარება** არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით *(მაგალითად, მდებარეობა და ბუნებრივი პირობები (მთები, დაბლობები, მდინარეები, ტბები, მცენარეები და სხვა));*<br>➢ საქართველოს მხარეების/ტერიტორიული ერთეულისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი საფრთხეების გამოვლინებების **ახსნა/გამოკვეთა**;<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** საქართველოს მხარეების/ტერიტორიული ერთეულების ბუნებრივი გარემოს თავისებურებისგან გამოწვეულ საფრთხეებთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** საქართველოს მხარეების/ ტერიტორიული ერთეულების განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით *(მაგალითად, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობები).* | <u>სამიზნე ცნება **"სივრცე"**</u> **-** საქართველო მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო/პირობებით ხასიათდება. მხარეები/ტერიტორიული ერთეულები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუნებრივი პირობების მიხედვით *(მაგალითად შემდეგი ნიშნით - მდებარეობა, მთები, დაბლობები, მდინარეები, ტბები, მცენარეები და ცხოველები).* ბუნებრივი გარემო ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს *(მაგალითად, განსახლების სხვადასხვა ტიპებს)* განაპირობებს და მხარის განვითარების პერსპექტივას განსაზღვრავს.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია (სამიზნე ცნება-სივრცე), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი), მოქალაქეობა (სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (3) საქართველოს სხვადასხვა მხარისთვის დამახასიათებელ ბუნებრივი პირობებსა და მეურნეობის დარგებზე მსჯელობა ბუნებათსარგებლობის რაციონალური ათვისებისა და მეწარმეობის უნარის ჩამოსაყალიბებლად | ➢ საქართველოს მხარეების/ტერიტორიული ერთეულების ბუნებრივი პირობების/ბუნებრივი რესურსებისა და მეურნეობის დარგების განვითარების პროცესის ერთმანეთთან **დაკავშირება;**<br>➢ საქართველოს სხვადასხვა მხარეში გავრცელებული მეურნეობის დარგების ერთმანეთთან **შედარება** არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით *(მაგალითად, რა რესურსები და შრომა სჭირდება სამეურნეო საქმიანობას და რა რისკები ახლავს მას; რამდენად არის მოთხოვნა შექმნილ/მოყვანილ პროდუქტზე);*<br>➢ საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის მეურნეობის კონკრეტული დარგის მნიშვნელობის **ახსნა;**<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** საქართველოს სხვადასხვა მხარეში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მეურნეობის კონკრეტული დარგის განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებით. | <u>სამიზნე ცნება **"მეურნეობა"**</u> - საქართველოს კონკრეტული მხარისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი გარემო და ბუნებრივი რესურსები აქ მცხოვრებთა საქმიანობას *(მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა, ტურიზმი, მრეწველობა)* განაპირობებს. საქართველოს სხვადასხვა მხარეში ადამიანები/სახელწიფო მეურნეობას ავითარებენ იმის გათვალისწინებით, თუ - რა რესურსები და შრომა სჭირდება სამეურნეო საქმიანობას და რა რისკები ახლავს მას; რამდენად არის მოთხოვნა მათ მიერ შექმნილ/მოყვანილ პროდუქტზე.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია (სამიზნე ცნება - სივრცე), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, ეკონომიკა), მოქალაქეობა (სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება). |
| (4) საქართველოს მხარეების ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თავისებურებების გაანალიზება მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად | ➢ საქართველოს მოსახლეობის გამამთლიანებელი ღირებულებების *(მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, ტოლერანტობა, სოციალური სოლიდარობა)* **დაკავშირება** საქართველოს სხვადასხვა მხარეში დამკვიდრებულ ყოფით ტრადიციებთან;<br>➢ საქართველოს მხარეებისთვის დამახასიათებელი ყოფითი თავისებურებების/ეთნოგრაფიული ყოფის ერთმანეთთან **შედარება** ;<br>➢ საქართველოს ამა თუ იმ მხარის ყოფითი თავისებურებების ჩამოყალიბების მიზეზების **ახსნა;**<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობასთან/ჩამოყალიბების მიზეზებთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების დადებითი მხარის წარმოჩენასთან დაკავშირებით. | <u>სამიზნე ცნება **"მრავალფეროვნება"**</u> **-** საქართველო გამოირჩევა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით. ეს მრავალფეროვნება ასახულია მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებში *(მაგალითად, ფოლკლორში, ეთნოგრაფიულ ყოფაში),* რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენს. მრავალფეროვნება შესაძლებელია რესურსად იქცეს ქვეყნის / მხარის განსავითარებლად.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია (სამიზნე ცნება-საზოგადოება), გეოგრაფია (სამიზნე ცნება-მოსახლეობა/ეკონომიკა), მოქალაქეობა (სამიზნე ცნება-საზოგადოება). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| | | |
| (5) საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/გამოწვევების გაანალიზება მოხალისეობრივი აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად | ➢ საქართველოში/საქართველოს ამა თუ იმ მხარეში ცნობილი/სახელოვანი პიროვნებების მოღვაწეობის **დაკავშირება** ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან;<br>➢ საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებული საზოგადოებრივი პრობლემების ერთმანეთთან **შედარება;**<br>➢ საერთო კეთილდღეობის მისაღწევად/საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის მნიშვნელობის **ახსნა** *(კონკრეტული მაგალითებზე დაფუძნებით);*<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** საქართველოს სხვადასხვა მხარისთვის აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებთან და მათი გადაჭრის გზებთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** საზოგადოების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ინოვაციური იდეებთან დაკავშირებით. | <u>სამიზნე ცნება **"საზოგადოება"**</u> **-** საქართველოს მოქალაქეებს აერთიანებს ღირებულებები. ეს ღირებულებები განსაზღვრავს მათ საერთო საზრუნავს *(მაგალითად, ზრუნვა ოჯახზე, მხარეზე, ქვეყანაზე, სამოქალაქო უსაფრთხოებაზე, ჯანსაღ ცხოვრების წესის დაცვაზე, კატასროფების რისკის მიტიგაციაზე/პრევენციაზე).* საერთო კეთილდღეობის მისაღწევად მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრებს გააზრებული ჰქონდეთ სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის მნიშვნელობა.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია (სამიზნე ცნება-საზოგადოება, დრო), გეოგრაფია (სამიზნე ცნება-მოსახლეობა, ეკონომიკა), მოქალაქეობა (სამიზე ცნება- მონაწილეობა). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (6) მოქალაქეებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის მნიშვნელობის გაცნობიერება სახელმწიფო სიმბოლიკისა და ინსტიტუციების მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად | ➢ სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციებისა და მოქალაქეების საჭიროებების ერთმანეთთან **დაკავშირება;**<br>➢ სახელმწიფო ინსტიტუტის უფლება-მოვალეობა/პასუხისმგებლობების ერთმანეთთან **შედარება**;<br>➢ სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზნების *(როგორ და როდის მივმართავთ ამა თუ იმ სტრუქტურას; რა ტიპის მხარდაჭერა შეიძლება მივიღოთ მისგან)* მარტივ მაგალითებზე დაფუძნებით **ახსნა***;*<br>➢ სახელმწიფოს ფუნქციებთან დაკავშირებული პრობლემების/საკითხების განხილვისას საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება;**<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით ამა თუ იმ საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების შესაძლო გზებთან დაკავშირებით. | <u>სამიზნე ცნება **"სახელმწიფო"**</u> - სახელმწიფოს ფუნქციაა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი უფლებების დაცვა. ამ ფუნქციებს ის კანონებისა და ინსტიტუციების საშუალებით ახორციელებს. თავის მხრივ, მოქალაქეებს საკუთარი სახელმწიფოს მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობა აქვთ.<br><br>აღნიშნული ცნების გათავისება საფუძველს ქმნის საბაზო საფეხურზე შემდეგი საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად: ისტორია (სამიზნე ცნება-ძალაუფლება, მოქალაქეობა (სამიზნე ცნება-დემოკრატია). |

DRAFT

ბ) სასწავლო თემები:

| |
|---|
| **სახელმწიფო - ჩვენი საქართველო**<br>თემა გულისხმობს - საქართველო მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების, ისტორიის საკვანძო ეპიზოდებისა და სახელმწიფო მოწყობის შესწავლას. |
| **თბილისი -საქართველოს დედაქალაქი** |
| **ქართლი** |
| **კახეთი** |
| **აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი)** |
| **სამცხე-ჯავახეთი** |
| **იმერეთი** |
| **სამეგრელო** |
| **გურია** |
| **აჭარა** |
| **რაჭა-ლეჩხუმი** |
| **აფხაზეთი** |
| **სვანეთი** |

DRAFT

## საგანი: საქართველოს და მსოფლიოს ისტორია

**სწავლა-სწავლების მიზნები:**

საგნის „საქართველოს და მსოფლიო ისტორია“ სწავლა-სწავლების მიზანია:

- საქართველოს და კაცობრიობის ისტორიის მიმართ ინტერესის გაღვივება;
- ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზის შესწავლა, ისტორიულ პროცესების მამოძრავებელი ძალების წარმოჩენა;
- მოსწავლეებში პატრიოტული/სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის, მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნებების/ისტორიული გმირების მოღვაწეობის, მათი ღვაწლისა და დამსახურების გაცნობის გზით;
- ნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო კულტურათა თავისებურებების, როგორც ისტორიული პროცესის შედეგის, წარმოჩენა; რეგიონული და გლობალური განვითარების პროცესის მახასიათებლების/თავისებურებების ჩვენება;
- ისტორიული მოვლენის, ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის შესახებ მულტიპერსპექტიული ხედვის ჩამოყალიბება;
- ეროვნული იდენტობის განვითარება; ისტორიულ მაგალითების გათვალისწინებით, პიროვნული, საზოგადოებრივი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბება; დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების სახელმწიფოებრიობასთან, პატრიოტიზმთან და ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრების იდეასთან კავშირში დანახვა;
- ისტორიული ფაქტებზე, მოვლენებზე თუ პროცესებზე დაფუძნებით, სულიერი და მატერიალური ღირებულებების კრიტიკულად განხილვის გზით, საკუთარი მსოფლმხედველობის განვითარება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

DRAFT

**ა) სწავლის შედეგები - საბაზო საფეხური**:

საგნის საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების **„ისტორიული წყარო“, "დრო (ისტორიული პერიოდი)", "სივრცე" (ტეროტორია, გარემო)," საზოგადოება", "ძალაუფლება", „ისტორიული მოვლენა/პროცესი"** ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია.

| **სწავლის შედეგი** | **შედეგის მიღწევის ინდიკატორები**<br>მოსწავლეს შეუძლია: | **სამიზნე ცნების მოცულობა**<br>მოსწავლე აცნობიერებს რომ: |
|---|---|---|
| (1) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენა-პროცესების გაანალიზება ისტორიული წყაროების გამოყენებით მულტიპერსპექტიული მიდგომების ჩამოსაყალიბებლად | ➢ სხვადასხვა ტიპის წყაროს **ურთიერთდაკავშირებული** გამოყენება კონკრეტული ისტორიული მოვლენის/პროცესის დასახასიათებლად;<br>➢ ისტორიული წყაროების ერთმანეთთან **შედარება** სანდოობისა და შინაარსის მიხედვით;<br>➢ შესწავლის ობიექტად შერჩეული მოვლენის ამსახველი ისტორიული წყაროების **კლასიფიკაცირება** არსებითი მახასიათებლების მიხედვით *(მაგალითად, შექმნის მიზანი და პერიოდი)* ;<br>➢ **ფაქტორების გამოკვეთა,** რომელიც შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული წყაროს სანდოობას განაპირობებს;<br>➢ ისტორიული წყაროს/წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება;**<br>➢ განჭვრეტა - როგორ შეიცვლებოდა კონკრეტული ისტორიული წყაროს შინაარსი/ხასიათი პერსპექტივის *(მაგალითად, ავტორის ინტერესები/ვინაობის)* შეცვლის შემთხვევაში. | <u>სამიზნე ცნება "ისტორიული წყარო"</u> - წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს ***(ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურ, აუდიო-ვიდეო, ფოტო-ფონო- დოკუმენტებს)*** იყენებენ.<br><br>ყველა წყარო ერთნაირად სანდო <u>არ არის</u>. მათზე დაფუძნებით ისტორიკოსები ხშირად განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ. წერილობითი წყაროების სანდოობაზე მსჯელობისას, როგორც წესი, ყურადღებას აქცევენ შემდეგ გარემოებებს: *ა) არის თუ არა ავტორი მოვლენების თვითმხილველი - წყარო პირველადია თუ მეორადი; (ბ) ვინ არის ავტორი - რა მიზანი და მოტივაცია აქვს მას.*<br><br>სამიზნე ცნების “ისტორიული წყარო“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად (ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება: „ტექსტი“, „კონტექსტი“). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (2) ისტორიული ეპოქის უნიკალობის შესახებ მსჯელობა სულიერი და მატერიალური ღირებულებების კრიტიკულად გასააზრებლად, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად | ➢ ისტორიული ეპოქის გამთლიანებული სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის **ურთიერთდაკავშირების** გზით *(მაგალითად, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური კულტურის, მატერიალური კულტურის ძეგლების ურთიერთდაკავშირების გზით)*;<br>➢ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის/პერიოდის ერთმანეთთან **შედარება** არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით *(მაგალითად, ტექნოლოგიების განვითარების დონე, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები);*<br>➢ სხვადასხვა ქვეყანაში/ისტორიულ პერიოდში არსებული დროის აღრიცხვის სისტემების ერთმანეთთან **შედარება;**<br>➢ ფაქტორების/მიზეზების **ახსნა,** რომლებმაც კონკრეტული ეპოქის ფორმირება/ცალკე ისტორიულ ეპოქად გამოკვეთა განაპირობა;<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** ისტორიული ეპოქის მახასიათებლებთან და მათი ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებით;<br>➢ პერიოდიზაციის **ორიგინალური სისტემის შექმნა** შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/პროცესის/ ეპოქის/ქვეყნის ისტორიის დასახასიათებლად. | <u>სამიზნე ცნება **"დრო (ისტორიული პერიოდი)"**</u> - ისტორია დროში მიმდინარე ცვლილებების შემსწავლელი დარგია. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ადამიანებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ დროის მიმართ: იყენებდა დროის აღრიცხვის სხვადასხვაგვარ სისტემებს; გამოყოფდნენ სხვადასხვა პერიოდებს ეთნიკური ჯგუფის/კაცობრიობის ისტორიაში.<br><br>თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მეტად გავრცელებულია კაცობრიობის განვლილი წარსულის დაყოფა ისტორიულ ეპოქებად *(პრეისტორია, ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია, უახლესი ისტორია)* და არქეოლოგიურ პერიოდებად *(ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა).*<br><br>ამ ისტორიულ ეპოქებში/პერიოდებში განსხვავებული იყო საზოგადოების მოწყობა, მსოფლმხედველობა, ტექნოლოგიები და ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.<br><br>სამიზნე ცნების "დრო (ისტორიული პერიოდი)" გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად (ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება: , „კონტექსტი"), მუსიკა (სამიზნე ცნება - "მუსიკალური ეპოქა"), ვიზუალური ხელოვნება (სამიზნე ცნება - "სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნება"), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, მეურნეობა). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (3) საზოგადოების განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენის შესახებ მსჯელობა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად; რეგიონული და გლობალური განვითარების პერსპექტივის წარმოსაჩენად | ➢ საზოგადოების მახასიათებლების **დაკავშირება** ქვეყნის/მხარის/რეგიონის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან;<br>➢ სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცის ერთმანეთთან **შედარება** ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით;<br>➢ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ერთი და იმავე გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობის **შედარებითი დახასიათება** *(მაგალითად, რით და რატომ იყო მნიშვნელოვანი კავკასია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე);*<br>➢ მიზეზების **ახსნა,** რომლებმაც შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის ფორმირება/მნიშვნელობის ზრდა/დაკნინება განაპირობა.<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** საზოგადოების განვითარებაზე კლიმატური პირობების ზეგავლენასთან/ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდი გამოთქმა** - როგორ შეიცვლებოდა კონკრეტული პერიოდის/ქვეყნის/ცივილიზაციის ისტორია განსხვავებული კლიმატური/გეოგრაფიულ პირობების არსებობის შემთხვევაში. | <u>სამიზნე ცნება **"სივრცე (ტერიტორია, გარემო)"**</u> - გეოგრაფიული გარემო, ისევე როგორც ცოდნა გეოგრაფიული გარემოს შესახებ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებების განვითარებაზე. გარემო ხშირად განსაზღვრავს საზოგადოების მახასიათებლებს, კლიმატური პირობების ცვლილება კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისტორიულ პროცესზე.<br><br>სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული სივრცე იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამა თუ იმ ტერიტორიის მნიშვნელობის ზრდას/დაკნინებას როგორც წესი ეკონომიკური, რელიგიური და სტრატეგიული ხასიათის მიზეზები განაპირობებდა.<br><br>სამიზნე ცნების "სივრცე (ტერიტორია, გარემო") გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად (გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, მეურნეობა, გეოგრაფიული გარსი), მოქალაქეობა (სამიზნე ცნება - საზოგადოება). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (4) წარსულსა და თანამედროვეობაში არსებული საზოგადოებების მახასიათებლების / თავისებურებების შესახებ მსჯელობა საკუთარი მსოფლმხედველობის გასავითარებლად; კულტურათა თავისებურებების, როგორც ისტორიული პროცესის შედეგის, გასააზრებლად | ➢ კონკრეტული საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების *(მაგალითად, სოციალური ფენები, პოლიტიკური ელიტა)* შესახებ ინფორმაციის **ურთიერთდაკავშირების** გზით;<br>➢ სხვადასხვა საზოგადოების ერთმანეთთან **შედარება** არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით *(მაგალითად, ღირებულებები, რომელიც საზოგადოებას ამთლიანებს, რომელი სოციალური ფენები იკვეთება საზოგადოების წიაღში, ვინ არის აღქმული „კულტურულ სხვად“)*<br>➢ კონკრეტული საზოგადოების ჩამოყალიბების/ განვითარების/კოლაფსის/დაკნინების მიზეზების **ახსნა;**<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** საზოგადოების მახასიათებლებთან/საზოგადოების განვითარების პროცესთან დაკავშირებით;<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** - როგორ განვითარდებოდა საზოგადოება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე უარყოფილი იდეების რეალიზების შემთხვევაში *(მაგალითად, წარმატებული რომ ყოფილიყო ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა).* | <u>სამიზნე ცნება **"საზოგადოება"**</u> - ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ კომპლექსურობის ხარისხით *(ზომა, სოციალურ ფენებად დაყოფა, შრომის დანაწილება);* ჰქონდათ ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრების წესი/ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა (სოციალური ნორმები, იდენტობის განმსაზღვრელი ნიშნები, "კულტურული სხვისადმი" დამოკიდებულება) და ფასეულობათა სისტემა.<br><br>სამიზნე ცნების “საზოგადოება“ გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე სამიზნე ცნებების გასააზრებლად (მოქალაქეობა (სამიზნე ცნება „საზოგადოება“), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, მეურნეობა). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (5) სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ინსტიტუციების, მმართველობის სისტემების და ძალაუფლების სიმბოლოების შესახებ მსჯელობა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებების გასააზრებლად; მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების გასათავისებლად | ➢ ძალაუფლების სიმბოლოებისა და ბერკეტების **დაკავშირება** კონკრეტულ საზოგადოებაში/საზოგადოებრივ ჯგუფებში გაზიარებულ ღირებულებთან;<br>➢ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებული მმართველობის სისტემის, სასამართლოს, ძალაუფლების სიმბოლოების, ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმების ერთმანეთთან **შედარება;**<br>➢ სხვადასხვა ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელი კონფლიქტების/კონფლიქტის განსხვავებული დეტალების გამოკვეთა - განსხვავებების განმაპირობებელი მიზეზების **ახსნა;**<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებთან დაკავშირებით;<br>➢ **მოსაზრებების გამოთქმა** პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით - მაგალითად, მსჯელობა იმაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მმართველობა უფრო ეფექტური და ჰუმანური. | <u>სამიზნე ცნება **"ძალაუფლება"**</u> - სიტყვა "ძალაუფლება" წარმოაჩენს ადამიანის შესაძლებლობას ზეგავლენა მოახდინოს პროცესების / საზოგადოების განვითარებაზე.<br><br>სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. იცვლებოდა: სოციალური სტრუქტურები, საზოგადოებრივი პრობლემების დღის წესრიგი, პოლიტიკური ელიტების ინტერესები, ძალაუფლების სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, მმართველობის ფორმები და ხელისუფლების ლეგიტიმაციის განმსაზღვრელი იდეები.<br><br>თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ირჩევს ხელისუფლებას მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის ქვეყნის/სახელმწიფოს განვითარების უზრუნველსაყოფად.<br><br>სამიზნე ცნების "ძალაუფლება" გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად (მოქალაქეობა (სამიზნე ცნება „დემოკრატია"), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, მეურნეობა). |

DRAFT

| | | |
|---|---|---|
| (6) ისტორიული მოვლენის/პიროვნების შესახებ მსჯელობა როგორც კონკრეტული ისტორიული ეპოქის პერსპექტივიდან და ისე დღევანდელი გადასახედიდან თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სიღმისეულად გასააზრებლად | ➢ შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების **ურთერთდაკავშირებულად** აღწერა;<br>➢ სხვადასხვა ისტორიული მოვლენის/პროცესის ერთმანეთთან **შედარება** არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით *(მაგალითად, პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობა, სოციალური ფონი)*;<br>➢ შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/პროცესის მიზეზებისა და შედეგების **ახსნა;**<br>➢ ისტორიულ მოვლენების/პროცესების მნიშვნელობის **შეფასება** ლოკალურ და გლობალურ დონეზე;<br>➢ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** ისტორიულ მოვლენებთან და პროცესებთან დაკავშირებით;<br>➢ **ორიგინალური მოსაზრებების გამოთქმა** ისტორიულ მოვლენებთან/პროცესებთან დაკავშირებით *(მაგალითად, მათ მნიშვნელობასთან, მათ შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებთან დაკავშირებით);*<br>➢ **ვარაუდის გამოთქმა** - როგორ განვითარდებოდა ისტორია ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის განსხვავებულად წარმართვის შემთხვევაში *(მაგალითად, რომ არ დაწყებულიყო პირველი მსოფლიო ომი)*. | <u>სამიზნე ცნება **"ისტორიული მოვლენა / პროცესი"**</u> - ისტორია არის ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა. ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს გამომწვევი მიზეზი/მიზეზები; მოსდევს გარკვეული შედეგები. ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა უფრო გლობალურია, ზოგიერთის - უფრო ლოკალური. ისტორიკოსები ხშირად განსხვავებულად აფასებენ ისტორიული მოვლენების მნიშვნელობას და მათ შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.<br><br>სამიზნე ცნების "ისტორიული მოვლენა/პროცესი" გათავისება საფუძველს ქმნის მომიჯნავე საგნების სამიზნე ცნებების გასააზრებლად (მოქალაქეობა (სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება", "მონაწილეობა"), გეოგრაფია (სამიზნე ცნება - მოსახლეობა, მეურნეობა, მდგრადი განვითარება). |

DRAFT

ბ) სასწავლო თემები

| **თემა** | **თემის აღწერილობა** |
|---|---|
| **საქართველო და გარესამყარო პრეისტორიულ და ძველაღმოსავლურლურ პერიოდში** | თემა გულისხმობს საქართველოში, კავკასიაში, მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში კომპლექსური საზოგადოების განვითარების პროცესის შესწავლას. პროცესების წარმოჩენას, რომელიც ქვის და ბრინჯაოს ხანაში ამ რეგიონების ურთიერთდაკავშირებულ განვითარებას განაპირობებდა. |
| **საქართველო და გარესამყარო ელინურ-ელინისტურ პერიოდში** | თემა გულისხმობს სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან *(ანუ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლაფსის შემდგომი პერიოდიდან)* ძვ.წ. I საუკუნებმდე *(ელინისტური ხანის დასასრულამდე)* განიცადა ძველაღმოსავლური ტერიტორიული იმპერიების *(ასურეთი, აქემენიანთა სპარსეთი),* ევრაზიის სტეპებიდან მოსული მომთაბარეების, ბერძნული კოლონიზაციისა და ელინისტური სახელმწიფოების ზეგავლენით. |
| **საქართველო და გარესამყარო რომაულ პერიოდში** | თემა გულიხმობს საქართველო ადგილის წარმოჩენას რომაულ სამყაროში ძვ.წ. I – ახ.წ. III საუკუნეებში *(სამოქალაქო ომებისა და პრინციპატის ხანაში).* სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ფარნავაზიანი მმართველების *(მაგალითად, ფარსმან ქველის მეფობის)* პერიოდში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო გვიანანტიკურ ხანაში / ადრეულ შუა საუკუნეებში** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას IV-X საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში, ევრაზიის სტეპებსა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაქრისტიანების, ვახტანგ გორგასალის მმართველობის, არაბთა ბატონობის და საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის პერიოდში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო განვითარებულ შუა საუკუნეებში** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას XI-XIII საუკუნეებში - ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებისა (მაკედონელთა დინასტია) და ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაერთიანების პერიოდში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო გვიან შუა საუკუნეების პერიოდში** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას XIII საუკუნის შუა ხანებიდან - XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე მიმდინარე ისტორიულ პროცესებში *(მონღოლეთის იმპერიის ჩამოყალიბება და დაკნინება, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, "დენთის იმპერიების" წარმოქმნა).* სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების წარმოჩენას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მონღოლთა ბატონობის პერიოდში, სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების ხანაში განიცადა. |

DRAFT

| | |
|---|---|
| **საქართველო და გარესამყარო ადრეულ ახალ პერიოდში** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილისა და მდგომარეობის წარმოჩენას აბსოლუტიზმისა და განმანათლებლობის ხანაში. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მუსმილი მმართველებისა და ერეკლე მეფის მმართველობის პერიოდში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო გლობალური ცვლილებებისა და ახალი ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდში („ხანგრძლივი XIX საუკუნე“ (1789 – 1914 წლები))** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას "ინდუსტრიული რევოლუციისა" და "ნაციონალიზმის" ეპოქაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მეფის რუსეთის იმპერიაში განიცადა. |
| **პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ბოლშევიკური ოკუპაცია** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის პერიოდში. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ბოლშევიკურ რეჟიმთან ბრძოლის პირველ პერიოდში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო ტოტალიტარიზმის, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას მეორე მსოფლიო ომის ეპოქაში და მის წინამორბედ პერიოდში. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ სტალინის მმართველობის წლებში განიცადა. |
| **საქართველო და გარესამყარო ცივი ომის ეპოქაში** | თემა გულისხმობს საქართველოზე „ცივი ომის“ ზეგავლენის წარმოჩენას. სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ "დათბობის", "უძრაობისა" და "პერესტროიკის" პერიოდში განიცადა. |
| **დამოუკიდებელი საქართველო და თანამედროვე მსოფლიო** | თემა გულისხმობს საქართველოს ადგილის წარმოჩენას თანამედროვე სამყაროში. იმ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების/პროცესების განხილვას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის პერიოდში ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, რუსეთის 2008 წლის სამხედრო ინტერვენციისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის პროცესში განიცადა. |

DRAFT